ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: დავით დარჩია

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც

არის საკრებულოს წევრი: აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს

წევრი: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): პროპორციული წესით

საანგარიშო პერიოდი: 01. 10.2022 – 30.09. 2023 წ.

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: **13**

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 12

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: 20

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: **10**

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის

არსებობის შემთხვევაში): ---

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): ------

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 19

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება 19

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:
საკრებულოს რეგლამენტის ცვლილებების პროექტი, (5-ჯერ), ქალაქ ოზურგეთის სანაპიროს ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ,,ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩა"- სახელწოდების მინიჭების პროექტი. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიჯეტის პროექტის ქვეპროგრამა-წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა, პროგრამული კოდი 01.01. მუნიციპალიტეტის საკრებულო 01.01.01, მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის კორექტირებული ვარიანტის პროექტი - მე-4 თავი - მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, ოზურგეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მე- 3 თავის მე-2 ქვეთავი- ,,საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება", ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სრული ოდენობის განსაზღვრის პროექტი, საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის პროექტი.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს 4 დადგენილება, საკრებულოს 3 განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის და 2023-2025 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და გეგმების პროექტები, სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: **30**

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: **107**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის საცხოვრებელი სახლი და სხვა) რეგისტრაციის საქმეში დახმარება, სოციალური დახმარების მიღების (ძირითადად სამკურნალოდ) საქმეში დახმარება, სასმელი წყლის მიწოდების პრობლემის აღმოფხვრა, ქუჩებისა და ტროტუარების მოწესრიგება, ქალაქში საკანალიზაციო ქსელის გაფართოება, დაზიანებული გზების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, დასუფთავების სამსახურის საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერება, სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მოწესრიგება და სხვა.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): შუამდგომლობა მერთან და სხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადება, დაინტერესებულ პირებთან შეხვედრის ორგანიზაციის რეაგირების აღნიშნული ფორმების გამოყენების შედეგად: ბენეფიციარებს დაუფინანსთათ სამკურნალო ხარჯები, განხორციელდა უძრავი ქონების რეგისტრაციები, დაიგო ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა შიდა სასოფლო გზებს, გაუმჯობესდა წყალმომარაგების ქსელის ფუნქციონირება, გაძლიერდა საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: ადგილობრივი თვითმმართველობის გაუმჯობესების, მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების აღმოფხვრისა და მუნიციპალიტეის მმართველობითი საქმიანობის თვისობრივად გაუჯობესების უზრუნველყოფის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებში განხორციელდა 4 ვიზიტი, მერიისა და საკრებულოს ერთობლივად და ცალცალკე ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაში აქტიური ჩართულობა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: გაუმჯობესდა ქალაქი იერსახე, რეაბილიტირებული იქნა შიდა სასოფლო გზები, გაუმჯობესდა წყალმომარაგების ობიექტების ფუნქციონირება, მნიშვნელოვანი წინსვლა განათლების, კულტურის და სპორტის სფეროებში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური საყოფაცხოვრებო პირობის გაუმჯობესება.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: საკრებულოში საკანონმდებლო საქმიანობის დახვეწა, ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, წყალმომარაგების ქსელი, სამედიცინო ლაბორატორიები, საბავშვო ბაგა-ბაღები, სკოლები, სასპორტო ნაგებობები) მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, სოციალურად შეჭირვებულიმმოსახლეობის ინტერესების დაცვა, განათლების და მეცნიერების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 19. 10. 2023 წ.

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 24.10. 2023 წ.